12 (24) იანვარს 1868. № 2. მესამე წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გაზეთის ფასი:

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში:		გაუგზავნელათ:
ერთის წლისა	7 მან.	6 მან.
ნახევრის წლისა	4 —	3 — 50 კ.
სამის თვისა	2 — 50 კ.	2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.

„დროება" გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების" რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ".

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი **განცხადება** სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

განცხადება

გაზეთის „დროების" გამოცემაზე 1868 წელში.

1868 წელს გაზეთი „დროება" გამოიცემა იმავე პროგრამმით, როგორითაც წარსულს წლებში გამოდიოდა და იმავე რედაქტორის და გამომცემლის ხელში.

ხელმოსაწერი ფასი:

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში:		გაუგზავნელათ:
ერთის წლისა	7 მანეთი —	6 მან.
ნახევრის წლისა	4 — — —	3 — 50 კაპ.
სამის თვისა	2 — 50 კ.	2 —

დროება გამოდის კვირაში ერთხელ პარასკეობით.

ხელი მოიწერება:

ტფილისში „დროების" რედაქციის კანტორაში მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთა შეუძლიანთ მოითხოვონ ამ ადრესით: **Въ Тифлисъ. Въ Контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ".**

შინაარსი: — წიგნი რედაქტორთან. — კახეთის არეულობა. — პოლიტიკა: ფრანცია. პრუსია. იტალია. — ტელეგრამმები: — უქაზი უმართებულესის სენატისადმი. — ფელეტონი. — ლექსები: ადამიანი. საბიბლიოგრაფო ცნობა.

უფალო რედაქტორო! თუმცა თქვენსავე გაზეთში ლაპარაკია იმაზედ, რომ „გაზეთის ხელის მოწერა საჭირო არის ქვეყნისათვისაო" არ არის ერთი ჩვეული საქმე ეხლანდელს ლიტერატურის წესით, მაგრამ იმედი მაქვს დაბეჭდავთ ამ წიგნს ორის მიზეზით. ერთი რომ მეტი გაზეთი არ გამოდის ჩვენს ენაზედ, საცა უნდა გამეგზავნა ეს წიგნი და მეორეცა, ეს საქმე ისე ახლოს ეხება ყოველ ქართველს კაცს, რომ არ შემიძლიან არ ვსთქვა ორიოდე სიტყვა ამის თაობაზედ. როგორც შევხვედრივარ და დამიგდია ყური, ეხლა არის გავრცელებული ის აზრი, რომ ქვეყანაში კაცი თუ იყოს, უნდა გამოადგეს რითიმე თავის საზოგადოებას და თუ ისე მოკვდა, რომ არაფერი კეთილი ნაყოფი არ დასტოვა, იმისი სიცოცხლე ამაოა ქვეყანაზე. რაღა ბევრი განვაგრძელო, ამ ტემაზედ ყველა ბევრს ლაპარაკობს და მხურვალეთაც ლაპარაკობენ, მაგრამ უფალმან უწყის, ამდენს ხალხში რამდენი გამოდგება სრულის დარწმუნებით ადგეს ამ აზრს? იქნება ბრძანონ „ჩვენ სიტყვას რათ არ ერწმუნაო და ეჭვი შემოაქვსო"; მართალიც არის. ქართველს კაცზედ ეჭვი არ უნდა იქონიოთ. ის როცა ლაპარაკობს, მაშინ კი მართლა გულით ამბობს; მაგრამ, რადგანაც იმ საქმის სარგებლობა არა აქვს მტკიცეთ გაბეჯითებული და გამარტებული თავის გონებაში, იმისთვისაც მოხდება, რომ ერთი საათის უკან არც კი ახსოვს, რა ილაპარაკა. სხვა ხალხის კაცზედ რომ ვამბობდე, ვიფიქრებ: „ის იმისთვის ქადაგობს ამდენსა საზოგადო-სასარგებლო საქმეზედ, რომ არ უნდა სხვას უკან ჩამორჩეს და თავისი თავი ობსკურანტათ გამოიყვანოს" მეთქი; მაგრამ ქართველ კაცზედ ეს როგორ ვსთქვა?

არ შევალ ჩვენს შინაგან ცხოვრებაში და არ გავბედავ გაკიცხვას, მაგრამ გარეშე კაცს, არ იქნება, არ ეწყინოს, როცა ნახავს, რომ ხუთს და ათს თუმანს უბრალო ლხინში გადავყრით და სხვა რამე უსარგებლო საქმეზედ დავხარჯავთ, მაშინ როდესაც შვიდი მანეთი კი გვეძნელება გაზეთის გამოსაწერათა.

მე არ გავბედავ ვილაპარაკო, თუ რა სასარგებლო და კეთილ-წინამძღომელი არის კარგი მიმართულების ლიტერატურა ხალხისათვის. ეს აზრი ყოველს განათლებულს ქვეყნებში ისე ჭეშმარიტია, რომ არც ერთი საქვეყნო საქმე არ დაიწყება, თუ უწინ ლიტერატურაში არ განისჯა. განათლებულ ქვეყნებში რომ ლიტერატურას ვერაფერი ძალა ვერ შეედრება, ეს, რასაკვირველია, ეცოდინება ქართველს მკითხველს. ლიტერატურა არის საზოგადო აზრის წარმომსთქმელი და ენამმართველი კეთილისა და ბოროტისა, ერთის სიტყვით, ლიტერატურა ხალხის სანათი არის და ულიტერატურო ხალხიც მკვდარია. რადგან კი ლიტერატურას ამისთანა მნიშვნელობა აქვს, გვაწევს ჩვენ ვალათ, რომ შევეწიოთ, არ ვიტყვი გაზეთს, არა, ჩვენი თავის სარგებლობას და განათლებას.

დ. მ.

ს. სანავარდო.

25 დეკემბერს.

კახეთში არეულობა.

1811—1812.

(ნაამბობი დ. ბებუთოვისა)

1811 წელს, 3 ივნისს პოლკში ჩამრიცხეს. მაშინ ეს პოლკი იდგა სპარსეთის საზღვარზე და ბინაობდა ცოპსა; მეც აქ მომიყვანეს. ლაგირში ყოფნა არ მომეწონა, ვერც იუნკრის ტანსაცმელს შევეჩვიე. თავისუფალსა და კარგათ გაწყობილს ქართულს ტანისამოსს შემდეგ ეს მძიმე იუნკრის მუნდირი მეჩოთირებოდა. გონება არ მაძლევდა მოსვენებას, რალაც კარგს მოველოდი და ამისგამო ძალიან მსუროდა ჩუმათ გავქცეულიყავ ბატონის შვილს ალექსანდრესთან. ერთ ღამეს გავიძვრე სამხედრო მუნდირი, ჩავიცვი ჩოხა და ლაგერს გარეთ მივიპარებოდი, მაგრამ ცეპში ვერ გავძვერი. ჩემზე რომ სალდათი იყო მოჩენილი, ფხიზლათ თვალს მადევნებდა, გამიდარაჯდა, მსტაცა ხელი და მომიყვანა ძმასთან ისევ ლაგერში. მაშინ ჩემი ძმა ვასილი ხერსონის გრენადერის პოლკში ადიუტანტათ იყო. იმან კარგა ლაზათიანათ ყურები დამისრისა. ცოტა არ იყოს, ამ შემთხვევამ დამაჭკუიანა და ისე გულდადებით დავიწყე სამხედრო სამსახური, რომ ზამთარში, როცა ხალხმა დაიწყო მღელვარება, ღენერალს პორტნიაგინს ბევრი კარგი საქმე ვუყავი. მთელს პოლკში მხოლოდ მე ვიცოდი ქართული და ქართველებთან მოლაპარაკებაში მთავრობას ძალიან გამოვადექი. ვეცდები მოკლეთ გიამბოთ სამწუხარო ამბავი იმ არეულობისა, რომელიც 1811 წელს ზამთარში ატყდა.

მაშინ მთავარ-მართებელი პაულუჩი სპარსეთის საზღვარზე იყო მოსალაპარაკებლათ. ჩვენი შეფი გენერალი პორტნიაგინი კახეთის მაზრის უფროსათ იყო. იმდროს საქართველო პურით იხდიდა სახელმწიფო ხარჯსა. იმ წელს ვერ იყო კარგი მოსავალი. კახეთში მხოლოთ ღვინის მოსავალია კარგი, პური იმდენათ არ

ფელეტონი

სანახავი (კარტინა) მესამე.

მესამე სანახავი იწყება, მაშინ როდესაც გოზინაყისა და ხილის სიტბი ყმაწვილს გულსა აუბლანდავს და ამავების მაგიერათ სხვა სიტკბოების გემოსა ჰგრძნობს. ეს იწყება ადამიანის ცხოვრებაში ოცის წლიდგან და ამ გემოს მთელ თავის სიცოცხლეში კაცი არა ჰკარგავს თუნდა ორასი წელიწადი იცოცხლოს. ზემოხსენებულს დროს, ადამიანს ზრუნვა აწევება ოჯახობისა, პური უნდა იშოვნოს. როგორ და რა ღონისძიებით იშოვნოს? რასაკვირველია იმ ღონისძიებით, რაც იცის, რაც უსწავლია. რა სწავლა უფრო იცის? მილოცვა, თავის დაკვრა, ხელზე კოცნა. აი ყოველ ახალწელიწადს მისალოცავათ სიარული გოზინაყისათვის ამით არის შესანიშნავი, ამით უჭირავს ჩემი ჰაზრით დიდი ადგილი აღზრდაში და მიუცილებლათ საჭირო რამ არის. და აი ჩემი ბატონი აღზრდილი ამ წასვლაში. შეიმოსავს ამ სწავლის ძალას და შეუდგება გზასა, შეიტყო ვთქვათ, რომ ამა და ამ ადგილას კაცია საჭირო და ეს ადგილი ჩემთვის კარგი იქნება, რადგანაც სარჩოს მომცემს. რაც უნდა ადგილი იყოს, ეს სულ ერთია, ვთქვათ პრიკაშჩიკისა. იმან იცის, რომ უფროსს, ვთქვათ სოვდაგარს, უნდა თავი დაუკრას და ფეხებში ჩაუვარდეს უფროსი პრიკაშჩიკი, უფროსს პრიკაშჩიკს უმცროსი პრიკაშჩიკს უბრალო, უმცროსია, პრიკაშჩიკები, ამათ შაგირდებმა შაგირდებს ბიჭებმა და ბოლოს ბიჭებს მოჯამაგირეთ დაჭერილი მუშები. თუ ამ უმცროსებმა უფროსებს თავი არ მოუხარეს, იმათი საქმე წახდება. აი, თქვენ მიდიხართ და ძავს უკრავთ, რომელსამე სოვდაგარს, რომ ესა და ეს ადგილი შევიტყე დაჭერილი არ არის, ან იქნება სხვა გვეულებოდეთ და მოწყალებათ მივიღებდი, რომ ნებას მიბოძებინათ ეს ადგილი. თქვენ თავის დაკვრას მილოცვას და ხელზე კოცნას ან პირზე, რასაკვირველია, მიიღებს, მაგრამ პასუხი კი აგრე მალე არ შეიძლება; ამიტომ რომ თუ თქვენ უფროსის წინ თავის დაკვრა გიყვართ, იმასაც კი უყვარს, რომ თავი დაუკრან, და ვინც უფრო დაბლა დაუკრავს, ვინც მეტათ დაუკრავს თავსა, იმას უფრო შეიყვარებს, ამიტომ რომ მორჩილება, მოწიწება, პატივისცემა საუკეთესო თვისებაა ქვეყანაზე. ეს განა შენ კი არ იცი! აბა გამოიხატე, რომ ერთხელ შენც უფროსი სოვდაგარი გახდები უმცროსებზე. განა შენ კი არ გესიამოვნება, რომ ყველგან თაყვანსა გცემდნენ და თქვენ გულში ვითომ გაგიელით მოიცადეთ, მოიცადეთ ერთი შენისთანები, თუ არ მეხვეწებოდნენ ხელის გამართვასა! მაგრამ დროება ესე მოითხოვს: ჯერ მე უნდა დავიკრა თავი, მერე სოვდაგრის გზაზე ნელ-ნელა ავალ მაღლა და ავალ, მანამ ღმერთი არ გამიწყრება.

ასე ამ გვარათ მიდიხართ დღეს, ხვალ, ზეგ თხოვნითა, თაყვანის ცემით სამუშაო ადგილსა შოულობთ. რაც კამფეთებზე საიდუმლოთ იყო შენთვის გამოხატული ყველაფერსა ცხადათ შოულობ, თხოვნით ცოლსა შოულობ, თხოვნით ფულსა და სხვათა. ცხოვრების გემოს გაიღებ და ეს გემოვნება თაფლივით კი გულს არ აგიბლანდავს! არა უფრო და უფრო გაეჩვევი, ამაში გალოთდები. რასაკვირველია, ხანდისხან ყმაწვილური გრძნობები მოგივა, როგორც პირველ მილოცვისათვის და გოზინაყისთვის სიარულის დროსა; ამიტომ რომ როგორც უფროსი სოვდაგარი გაიცინებს შენის იმასთან ყოფნაში, შენც ისე უნდა გაიცინო, თუ დაღვრემილია გრძნობით და მოწიწებით უნდა უყურებდე, თუ ავათ არის, შენც უნდა თავი მოიავათმყოფო და სხვებიც უნდა იმის ხათრისთვის გაავათმყოფო: ვთქვათ ცოლი, შვილი, მძახალი. ერთი სიტყვით, რაც არ გინდა; ის უნდა ჩაიდინო და ის უნდა თქვა. იქნება გულში კაი რამ ჰაზრი გქონდა როდისმე, იმას ეალერსებოდი ის ჰაზრი გიყვარდა ყველაფერზე, უფრო ჩაგრჩა გულში კიდეცა, იქნება ისევ ისე გიყვარს. მაგრამ დიდი სოვდაგრობა გინდა, სახელი გინდა, ფული გინდა, იმას უარი უნდაჰყო და ერთათ ერთის შენის ცოდნით, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ, უნდა ესენი იშოვნო. მე დიდათ თანაგრძნობა მაქვს, შენი მწუხარება ვიცი. არა უშავს რა, შენ იმედი იქონიე, რომ ასე სწორე გზაზედ რომ გაიველი და ყველაფერს იშოვნი, მერე შეუდგები იმ კეთილის ჰაზრის ასრულებას. სიკვდილისა ნუგეშინიან. კარგა ხანი იცხოვრებ მაგისთანა მაძღარის სადილით; შენ იმასაც ყურს ნუ დაუგდებ, რომ ერთხელ სხვასა ქადაგებდი და ეხლა სოვდაგრის გზას რომ შეუხვიე, ამაზე დასცინიან შენ ჰაზრებსა. შენ შეგიძლია ორივე მოათავსო, ისევ იქადაგო და შენი საქმე, როგორც ცხოვრების მომდინარეობა მოითხოვს, ისე წაიყვანო. მეტყვი გასამხნევებლათ, რომ შენ ძალიან ოსტატობას იჩენ და ორ შეუერთებელ საქმეს აერთებ, ეს დიდათ სასიქადულოთ უნდა მიგაჩნდეს. მეორეს მხრით შენ ეს ნუგეშიც უნდა იქონიო, ესე იგი შენი გამმართლებელი ის არის, რომ კაცი თან-დათან თავის წინ წასვლას, თავის კეთილ-ცხოვრებასა უნდა ცდილობდეს და არა რაღაცა კეთილი-ჰაზრისათვის, რომელიც არც კუჭ-გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდის. რადგან სპარსეთს ომის გამოცხადებას ღუპირებდით, ამისთვის გენერალს პორტნიაგინს ნაბძანები ჰქონდა, რომ სახელმწიფო ხარჯი მალე მოეკრიფა და, რაც წინა-წლებში დარჩენოდა აუღებელი, ისიც უნდა სრულად აეღო. ხალხს უჭირდა და უარზე იდგა; მაგრამ ვალდებულს ხარჯს მაინც ძალდატანებით ითხოვდნენ. რომ აღარა გაეწყოთრა, ეგზეკუცია გაუსიეს. უნდა ვთქვა, რომ ეგზეკუცია ჯერ არ გამოეცადნათ ქართველებსა. ყოვლის მხრით მოისმა ჩივილი, რომ სალდათები ოჯახს გვიუპატივრებენო, ცოლებს და ქალებს შეურაცხებას აყენებენო. იმ დროს ალექსანდრე ბატონის შვილის მოჩენილი კაცები აგონებდნენ ხალხსა. თავად-აზნაურობა იმისკენ იყო და დღე-ნიადაგ მოელოდნენ იმის მოსვლასა. ჩვენი ჯარი კი საეგზეკუციოთ იყო გაბნეული მთელს ქახეთში. მცხოვრებლებს ძალიან დაუმძიმდათ ამისთანა მდგომარეობა და ეკლესიებზე იკრიბებოდნენ მოსალაპარაკებლათა, რომ მალე მოეკრიფათ პური და ამ ძალდატანებიდგან განთავისუფლებულიყვნენ.

ერთხელ თიონეთს ხალხმა ეკლესიაზე თავი მოიყარა. ამდროს მოვარდება ერთი გაცოფებული დედაკაცი მოჰგლეჯს ქუდს თავის ქმარსა და თვითონ დაიხურავს, მოიხსნის ჩადრს მოასხამ იმას და ეუბნება: „შენ ახლა ცოლი ხარ და მე ქმარი! რუსმა გამაუპატიურა და შენ მაგიერათ მე უნდა გაესცე პასუხი!“ გამოჰგლეჯს ხანჯალს თავის ქმარსა და მირბის შინისკენ. მთელი ხალხი უკ ნ გამოუდგა.... აფიცერი მოჰკლეს, კამანდა დახანჯლეს, ხალხი ადგა. ბუნტის თავებმა აიღეს ხელში ბაირაღი, რომ მთელი ქახეთი აეყენებინათ და ამით უნდოდათ, თიონელებს მთელი ხალხიც რომ მიჰყოლოდა. მოთავენი ერთი სოფლიდგან გადადიოდნენ მეორე სოფელში და მოეგზეკუცე კამანდები მუქარით ამოაწყვეტინეს. ორის დღის განმავლობაში მთელი ქახეთი ადგა. თელავი და სიგნახი შემოზღუდეს. ამ ქალაქებში მხოლოდ მცირე გარნიზონები იდგნენ. თელავის მახლობლად ჩვენი შტაბ-კვარტირა იდგა და, თუმცა დიდი ზარალი მიეცა, მაგრამ ჯარი ამ ქალაქის ცხეში მაინც გამაგრდა. სიგნახში კი ყველა ჩინოვნიკები და გარნიზონი გასწყვიტეს. ჩვენის პოლკის მეხუთე ესკადრონს და იმის კამანდირს მარტინოვსაც იგივე უბედურება ეწია. ეს ესკადრონი იდგა სოფელს ქაკაბეთს. მარტინოვმა იმდენი მოახერხა, რომ წინა-ღამეს შტანდარტი მაინც გამოგზავნა შტაბ კვარტირაში. პორტნიაგინმა მთელი ესკადრონიდგან მხოლოდ ას-ორმოცდა ათი კაცი შეაგროვა და ძალიან გაჭირებაში ჩავარდა. შემწეობას მხოლოდ ტფილისიდგან მოელოდა; მაგრამ ტფილისი ოთხმოც-და-ათ ვერსზე იყო მოშორებული და, უკანასკნელი რომა ვსთქვათ, ჯარს სამი დღე მაინც დააყოვნდებოდა გზაზე. თუმცა საგარეჯლები ჩვენ კენ იყვნენ, მაგრამ არ ეძინათ კი. ისინი თავიდგან ფეხებამდინ შეიარაღდნენ და ელოდნენ განდგომილების მოსვლასა. აბუნტებულს ხალხში ბევრი ქახეთის თავადი ერია. მეორე დღეს საგარეჯოს ქეეხამ პორტნიაგინს წიგნი მოუტანა. იქ იწერებოდა ქობულოვი, რომ მთელი კახელები თქვენზე მოვდივართო და თუ საგარეჯლებიც არ შემოგვიერთდით, სოფელს დავსწვავთო და ყველას ამოგწყვეტთო. ქეეხამ უთხრა პორტნიაგინსა, ან სიტყვა მოგვეცით, რომ დაგვიფარავთო, ან გადით ჩვენი სოფლიდგან. სოფლელებს უნდოდათ, რომ ისინი დაგვეცვა და საგარეჯო გადაგვერჩინა დაქცევისაგან. თუმცა ღენერალი დაჰპირდა, დაგიფარავთო, მაგრამ, როგორც შემდეგ გიამბობთ, თავისი სიტყვა არ გაამართლა.

ტფილისიდგან ჯარი არ მოდიოდა, ამდგარი ხალხი კი წამის-წამს გვიპირობდა თავს დასხმასა. სოფელში ოდნა სიმაგრეც არ იყო, რომ ცხენები და ბარგი შეგვენახა. დრაგუნები, 150 კაცის მეტი არა გვყოლია და აი, როგორ დავაწყვეთ საქმე: პორტნიაგინის სადგომის წინ კარგი დიდი მოედანი იყო. ამ მოედანზე ირგვლივ შემოვაწყვეთ ფქვილიანი ტომრები და ამ ნაირათ გავამაგრეთ. თუმცა მახლობელ ვენახებიდგან და ტყიდგან გვესროდნენ, მაგრამ, მინამ ჯარი მოგვეშველებოდა, თავი აქ შევიფარეთ. ამ ჯებირს გარეთ ცხენები ბარგი და ლაზარეთი იყო. იმ საღამოს ტფილისიდგან მოიჭრა ორი თავადი. იმათ უნდა შეეგონებინათ სიგნახის უეზდი, რომ განდგომილებს არ მიდგომოდნენ. ერთი იმათგანი ანდრონიკაშვილი იყო, რომელსაც ძალიან უჯებრედნენ კახელები და მეორე ქიზიყის პრისტავი ჯანდიერი. არც ჩვენ და არც ამ თავადებს არა გვცოდნია სიგნახის გარნიზონის ამოწყვეტა. ღენერალმა შეიტყო ამ თავადებისგან, რომ ტფილისიდგან მოდისო მაიორი ბუხვოსტოვი ორი როტით და ორი ზარბაზნით. თვითონ ესენი კი სიგნახს მიეშურებოდნენ ხალხის დასამშვიდებლათ. ღენერალმა ოთხრა თავადებს, კარგს სახელმწიფო ცხენებზე შემჯდარიყვნენ. თვითონ ჯანდიერისშვილს სთხოვა, რომ ჯარის მოშველებამდის იმასთან დარჩენილიყო. ეს ორი კაცი იმ ღამეს ქეეხასთან დადგნენ, მეც იქ მიმიწვიეს. მთელმა სოფელმა სათითოოთ ძღვენი მოართვეს ამათა. ქათამი, კვერცხი, ყველი, შემწვარი ბატკნები, გოჭები, პური, ღვინო და ხილი აუარებლათ მოიტანეს. ბზინარი კარებზე იდგა და იძახდა ხოლმე მემძღვენეს სახელსა. ანდრო ნიკაშვილი და ჯანდიერი ეტყოდნენ: „აგაშენოს ღმერთმა, დაჯექ!“. ბლეხი დაჯდებოდა და რაც მოეტანა, სუფრაზე აწყობდა. ამ სახით სახლი მალე გაიესო სტუმრებითა, რომელნიც თავიდგან ფეხებამდის შეიარაღებულნი იყვნენ. სტუმრები ირგვლივ შემოუსხდნენ კერასა და დიწყეს ლაპარაკი მაშინდელს ამბავზე. თიონელებს სულ ყველანი არ ამართლებდნენ. ბევრნი იმ აზრისა იყვნენ, რომ რომელმაც დედა-კაცს შეურაცხება მიაყენა, ის რუსი ნაკუწ-ნაკუწათ უნდა ექციათო, მაგრამ მთელი კამანდა რა დანაშაული იყო, რას ერჩოდნენო! ზოგი ამბობდა, იქნება რუსები მიუდგნენ თავის აფიცერს და კაცები დაჰხოცესო. მართალი არავინ იცოდა; ყველა ისე ლაპარაკობდა, როგორც თვითონ ეგონა. ვახშამს შეექცნენ. ბატონები და გლეხები პურს ერთათ სჭამდნენ. მერიქიფე უელიდა გარს სუფრასა და აზარფეშა ხელიდგან ხელში გადადიოდა. ნავახშმევს გაიმართა ხმა-მაღლა ლაპარაკი, კარს ხშირად აღებდნენ ხოლმე. სტუმრები თან-დათან გვემატებოდა; სახეზე ეტყობოდათ, რომ არ იყვნენ მოსვენებულნი. აი მოვიდა ორი ქართველი. ქუდები მოიხადეს, ბურსეულით ოფლი მოიწმინდეს და მოართვეს ქეეხას წერილი. ქეეხამ წაიკითხა და საიდუმლოთ გადასცა ჯანდიერს. ეს ბარათი იყო ქობულოვისაგან მოწერილი. ჯანდიერმა ქეეხას დაუბრუნა წერილი და უთხრა, ქობულოვს ჩემ მაგიერათ წიგნი მისწერეო. შეუთვალე, რომ ხვალამდის ნუ მოვა, ამიტომ რომ პორტნიაგინი ხვალ აპირებს სოფლიდგან გასვლას. სჯობიან ასე მოიქცე, თორემ დიდი ზარალი მოგეცემათ, რადგან პორტნიაგინი თავგანწირულათ დაიწყებს თავის დაცვას. მერე ჯანდიერის შვილმა ყურში წამიჩურჩულა. „წადი ახლავე, ღენერალს უთხარი ფრთხილათ იყვეს. ქობულოვს მე ვიცნობო, იქნება არ დამიჯეროს და ამავე ღამეს დაგვეცესო. აქაურს მცხოვრებლებს იმედი ტყუილა ნუ აქვს. ისინი უფრო იმათ მხარეს დაიჭერენ და არ დაუწყებენ წინააღმდეგობას. ლაზარეთიდგან ავათ-მყოფები ახლავ გამოიყვანე, რომ ცოტა მეტი ჯარი იყოს“. ჯანდიერმა ორი კაცი გამატანა და რაც დამბარა, ყველა პორტნიაგინს მოვახსენე. როგორც კი ავათმყოფები გამოასხეს, მაშინვე ლაზარეთს ცეცხლი მისცეს, შეიქმნა თოფის სროლა. ბანდგომილები მოგვადგნენ, ვენახებში და გარემო ტყეში ჩაესაფრენ და დაგვიწყეს სროლა იქიდგან; მაგრამ ღამე იყო და ვერა გვავნეს რა. ინათლა თუ არა, თოფის სროლაც გახშირდა. საგარეჯლებს ხელი არ გამოუღიათ, მაგრამ ელოდნენ კი, რომ ჩვენ სოფლიდგან გასულიყავით. ჩვენ ვიყავით ტომრების ძირში მიმალულნი და ვინც კი მეიდანზე გადირბენდა, მაშინვე თოფს მოარტყამდნენ. დილას ჯანდიერი მივიდა ღენერალთან; ანდრონიკაშვილმა კი გასწია სიგნახს და ხლებულები თან წაიტანა.

ღენერლის თხოვნით ჯანდიერი რამოდენმეჯერ გამოვიდა განდგომილებთან და აგონებდა ხალხს, რომ თოფის სროლა შეეწყვიტათ. იმას არავინ უჯერებდა. ყველამ იცოდა, რომ ქობულოვი იქ იყო, მაგრამ არავის ენახვებოდა. მზე გადიხარა და შემწეობა კი არსაითა ჩნდა. ბევრი ცხენები და მასთანა 25 კაცი დაგვიჭრეს. მესამე საათი იყო, რომ ზარბაზნის სროლა და ბარაბანის ხმა მოგვესმა. ყველა გამხიარულდა. მაიორმა ბუხვოსტოვმა გვაცნობა, აი მეც მოვდივარო. როგორც კი ჯარი მოახლოვდა, განდგომილებმა დასტოვეს ბაღები და ტყე; სროლა დაწყნარდა.

როცა ბუხვოსტოვი პატარძეულს მოვიდა, იქ სამხედრო რჩევაში დასდეს, რომ სოფელი დაგვეტოვებინა და ტფილისს წასულიყავით. ამის მიზეზი ის იყო, რომ მაიორი ესიფოვი, რომელიც გაეგზავნათ ორასი კაცითა თელავის ციხის მისაშველებლათ, ძლივს შესულიყო ციხეში, ძალიან დაეზარალებინათ და თვითონაც მოეკლათ. იცოდნენ, რომ თელავის გარნიზონი ორთვეს გაუძაგრდებოდა ხალხსა. იმავე ჩიკრიკმა მოგვიტანა ამბავი, რომ 15 ათასი განდგომილი ხვალვე თავს თაგვეცემიანო, უნდათ გაგესრისონ და ტფილისს მიჰმართონო.

მაშინვე სამგზავროთ მოვემზადეთ. რაც მძიმე ბარგი იყო, სულ დავსწვით და წავედით ტყე-ტყე, გავედით ოორს და მივმართეთ აზამბურს; დიდი გზით წასვლა ვერ შეგვეძლო, რადგან იქ განდგომილები გვიდარაჯებდნენ. თუმც ძალიან ჩუმათ მივდიოდით, მაგრამ მაინც გაგვიგეს, გამოგვიდგენ და მთელი ღამე სულ გვესროდნენ. საგარეჯლები იმათ შეუერთდენ. ჯანდიერი ღამით გაიჭრა სიგნახს თავის ცოლშვილის მისაშველებლათ.

გიძლებს და არც ჯიბეს აგივსებს, მცირე ჩუმს ცხოვრებას არ უნდა დასჯერდე. იყავი მტკიცე, ვითარცა ქვითკირი ამ გზასა ზედა, რომ ბედნიერ იყო ქვეყანასა ზედა. ბედნიერ ბა ხომ ყველას წადილია, აბა ვინ გაგამტყუნებს! ტყვილათ ნუ იტანჯავ სვინიდისსა. დაძშვიდდი.

ამბობენ, ისეთი კაცები არიან ქვეყანაზე, რომ სოვდაგრებს პრიკაშჩიკები თავს არ უკვრენ, თაყვანს არა სცემენ. ეს კაცები უგუნურები არიან და თავიანთი უგუნურება იმათა სჯის; ისინი შიმშილით იხოცებიან. ბანა ამისთანა უგუნურს კაცებს უნდა მივბაძოთ. ამასაც დაუმატეთ, ეს ამპარტავანი კაცები ოჯახობაში, ნათესაობაში, მცნობებში რამდენ სამდურავსა ხედვენ, რამდენი ყვედრება ესმით, დამცირება, დაცინვა. მართლა უგუნურები არიან! იმათ ყური არ უგდოთ. არიან კიდევ ისეთი სულელური ქვეყნები, რომ მუშა თავს არ დაუკრავს არამც თუ პრიკაშჩიკსა. სოვდაგარსაც თავს არ უკრავსო. უფროსს სოვდაგარს უმცროსი თუ უნდა, პირ-და-პირ თითონვე ეტყვის, გნებავს მე შენისთანა კაცი მეჭირება და მოდი მოგირიგდეთ ჯამაგირზე. უმცროს თუ საქმეზე ყოფნა უნდა, მიდის და ეუბნება უფროსსა, შენ საქმისთვის კაცი გინდა, მე საქმე მინდა, მოდი მოვრიგდეთ. ამისთანა ქვეყნებში ერთმანერთის პირფეროობა არა სცოდნიათ. ამბობენ პირფეროობა რათ გვინდაო. შენც კაცი ხარ; მეკაო, შენ ჩემთვისა ხარ საჭირო, მე შეხთვისაო. ორივ უერთმანერთოთ ვერ გავძლებთო. რა სულელური ქვეყანა უნდა იყოს! აბა წარმოიდგინეთ დიდ-პატარაობა, როგორლა უნდა გაირჩევოდეს, რომ უმცროსმა სოვდაგარმა უფროსს თავი არ დაუკრავს. ქაცს რ ღა პატივის ცემა უნდა ჰქონდეს; ამისთანა ქვეყანა მალე დაიქცევა; ამიტომ რომ ქვეყანა დიდ - პატაროობაზე დგას. ღმერთს მთა-და-ბარი არ გაუსწორებია. შენ ჩემო მკითხველო ისევ ისე სწირე, როგორცა სხვები სწირავენ.

. . . . . .

პ.—ძე

ადამიანი.

(ვუძღვნი №...)

ვინც გინდა იყო ჩემი მკითხველი
ქაცი, ქალი, გინდ გასათხოვარი;
შენთან მაქვს ერთი შესახვეწელი,
ბოთხოვ, ალმისრულო ეს სათხოვარი.

ცხოვრებაში რა შესვლასა იწყებ
და ბედიც კეთილ-გონებიანი
თან დაგდევს, იმ დროს ნუ დაივიწყებ,
რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი.

იყავი ტურფა, იყავ უსწორო,
მდიდარი, ბრძენი, მხნე და ჭკვიანი;
მაგრამ ფიქრისგან არ განიშორო,
რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი.

შემთხვევამ მოგცა ბევრი ქონება,
დიდ-კაცათ დაგსვა, გქმნა სრულ-სვიანი?
მაშინაც გმართებს უფრო ხსოვნება,
რომ შენ ხარ მხოლოდ ადამიანი.

აგებ, კეთილო, ბედს არ უყვარდ,
მოგიკლა გული, გაო სევდიანი;
ნუ დაეცემი, დასდეგ, გამაგრდი,
გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი.

დაე, იცვალოს გარემოება,
თუნდ ხალხის ხმამაც მოგცეს ზიანი;
თვით ნუ იცვლები, მოვა დროება,
ბიცნობენ, რომ ხარ ადამიანი.

ცხოვრების ნიშნად სიმართლე გქონდეს
და სიყვარული მოძმეთა ვალად,
სამშობლო შენი მარად გახსოვდეს,
თუ კი გსურს გახდე ადამიანად.

ფაზელი.

1867 წელს.
22 დეკემბერს

ბრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის შაირია
ამად კარგი.“

შ. რუსთველი.

სევდისა გუნდნი შამომხვევიან,
ველარ გავექეც სასტიკსა ხვედრსა;
ორბებსავითა გულთ ჩამფრენიან
და მიშფოთებენ ჩემს სიცოცხლესა.

საითაც წავალ, ეს მწუხარება
მიბნელებს გულსა და არ მშორდება!...
მაგრამ ენუგეშობ, იქნება ოდეს
ეს ჩემი ტანჯვა ლხინად შემექცეს.

მაშინ კი სხვაფერ ვილაპარაკებთ..
სამლერას ვიტყვით პირუთნეველსა;
ბევრს რასმეებსა შეგატყობინებთ
სანატრელ დრომდის დაფარულებსა...

იქნება მკითხოთ, თქვენ ჩემო ძმებო:
„რასა სტირიო, რას მწუხარებო?“
ვსტირი იმასა, რომ ვერ გამიგეთ
და ჩემს ფიქრებთან მარტოკა მიშვებთ.

12 დეკემბერი. დ. მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრაგუნები ქვეითათ მოდიოდნენ და ცხენები სადავით მიჰყავდათ; რამდენიც კაცი ვიყავით, ოთხი იმდენი ცხენი გვყავდა, რადგან კაცები ზოგი მოგვიკვდა, ზოგი გაგზავნილ-გამოგზავნილი იყო; ჩვენ გზას მივყვებოდით. ქვეითი ჯარი წინა-მხარს და უკანა-მხარს გვიცავდა; მაგრამ კაცები მაინც თან-და-თან გვაკლდებოდა; მთელი ღამე წინ მივისწრაფოდით. Ცისკრის ამოსელისას, როცა Აზამბურის მთას შევუდექით, არ ვიცი რათა, ჩვენი კოლონა შეჩერდა; ორი ღამე არ მეძინა, ოცი ვერსი ქვეითათ წამოველ, ხელში შტანდარტი მეჭირა და ამან ასე დამღალა, რომ ილაჯი გამიწყდა, ქალონა შეჩერდა თუ არა, მაშინვე მივწექ ხევში და მკვდარსავით მიმეძინა. Დიდხანს ვიწექ თუ არა, ის კი არ ვიცი, მაგრამ მახლობლად ზარბაზნის სროლამ გამომაღვიძა. Თვალები რომ გამოვახილე, ძალიან შემეშინდა ჩემი თავისა და შტანდარტისაცა. Რამდენიმე მინუტი რომ კიდევ მძინებოდა, უკანა-ჯარი ისე გამოიელიდა, რომ ვერ შემნიშნავდნენ. Უეჭველათ, განდგომილები ან მომკლავდნენ, ან შტანდარტიანათ დამიჭერდნენ. Სიკვდილის არ მეშინოდა, მაგრამ გულში ეს მქონდა, ვაითუ იჭვი აიღონ ჩემს ორგულობაზე. მაშინვე ვეცი შტანდარტსა და მოვქუსლე; როცა ხლმების რაჩხა-რუჩხი მომესმა, უფრო გავმხნევდი და ფეხს ვუმატე იმ აზრით, რომ სიკვდილს თავი დავახწიე. Ცისკარი ამოვიდა, რომ ამხანაგებს მივეწიე. Პოლკის დეჟურნთან, პარუჩიკ Რუდნევთან მივედი და ვუთხარი, თუ მე არ მოგაგონდით შტანდარტი მაინც რატომ არ გაგახსენდათ მეთქი. Რუდნევმა შემეხვეწა, არავის უთხრაო, მაგრამ საწყალს ამის თქმაც არ დასცალდა; თოფი მოარტყეს და იქვე უსულოთ დაეცა. Გამოვიარეთ და სოფელს სართაჭალას მოვედით. Განდგომილებმა თავი დაგვანებეს და ჩვენ მეორე დღეს საღამოს უშიშრათ შამოველით Ტფილისში. Მაგა ჩემი დისტანციის თათრების უფროსათ იყო და მორჩილების ქვეშ ჰყავდა. ჩემი ძმა Ბასილი მთავარ მართებელთან Პაულუჩთან იყო Სპარსეთის საზღვარზე.

Ამ დროს ტფილისში გამოაწყვეს ერთი ოტრიადი პოლკოვნიკს Ზაგრიაჟკის წინამძღომლობის ქვეშ და გამოუყენეს განდგომილებსა, რომელნიც ჩვენ მოგვდევდნენ და აპირებდნენ Ტფილისს შემოსელასა. Მეორეს მხრით ღენერალს Ორბელიანს ნაბძანები ჰქონდა ქვეითის ჯარით და დრაგუნის პოლკით წასულ-იყო მეფის წყაროდგან Სიგნახს, დაემშვიდებინა ეს ქალაქი და მისულ-იყო Თელავამდის.

Დედა ჩემი ვნახე თუ არა, მაშინვე მოვიდა ორდინარეცი, Პორტნიაგინი გიხმობსო. Ღენერალთან დამიხვდა პოლკოვნიკი Ზაგრიაჟსკი და იქვე ატრიადიც იყო სალაშქროთ მომზადებული. Ახლაც მახსოვს ღენერლის სიტყვები. „Მთავრობა დარწმუნებულია შენის ოჯახის ერთგულობაზე, შენი ძმა მთავარმართებლის ადუტანტია, შენც ჩემთანა ხარ და მამაშენიც ჩემი მეგობარია. Ჩვენ გვინდა სანდო კაცი. Შენ ქართული იცი და Ქახეთს მიმავალი გზები: გახდი Ზაგრიაჟსკის ატრიადის გზის მაჩვენებლათ და ამასთანავე პოლკოვნიკის თარგმნელი. Მიდი მაიორ Ქოტირევთან, რომ კარგი ცხენი მოგცეს, მეორე ცხენიც ბარგისთვის გამოართვი და ახლავ მიდი პოლკოვნიკთან“. Ღენერალმა ნება მომცა, დედას გამოვეთხოვებოდი, მაგრამ დამარიგა, ატრიადი სად მიდის, არავის უთხრაო. Მაშინ მივუბრუნდი Ზაგრიაჟსკის და ვუთხარი, თუ დამაგვიანდეს, Აელაბრის ალაყაფის კარებში რომ გახვიდეთ, არამცა და არამც დიდს გზას არ დაადგეთ, ძალიან შორს მოელა დაგეჭირდება; წადით გზაწვრილზე, საცა დაბრკოლება არა შეგხვდებათ რა. Ერთს საათსაც არ გაუვლია, რომ ატრიადს გამოეუდექი. Ალაყაფის კარებთან რომ მიველი, დარაჯს ვკითხე, საით წავიდა ატრიადი? Იმან იქითკენ მიმასწაველა, საითაც არ ეურჩევდი წასელასა. Მაშინვე ვკარი ცხენს ქუსლი, ხუთს ვერსზე მივეწიე პოლკოვნიკს და ვუთხარი ამ გზით ხვალ ათ საათამდის რომ მივიდეთ სოფელს Ლილოს, ისიც კარგია. Ზაგრიაჟსკიმ მიბრძანა მოკლე გზაზე გამომეყვანა ატრიადი. Თუმცა ბნელი ღამე იყო, მაგრამ ატრიადი გავაყოლე ერთს გამშრალს ხევის პირს, რომელიც კარგათ მემხრობოდა, და გამოველით მოკლე გზაზე. Ამასობაში ორი საათი დავკარგეთ, ასე რომ Ლილოს მთასთან გათენებისას მივედით. Მთის წვერიდგან შევნიშნეს და დაიწიეს Მარტყოფისკენ. Ტყეში კარგს ადგილებზე გამაგრდნენ.

Აქ ერთს საათს შევისვენეთ და მერე მივდექით ტყიდგან განდგომილების გამორეკასა. Დიდხანს არ გამაგრებულან, გავიდნენ Იორის წყალზე და ჩაესაფრენ ხაშმს, Ყარაბულალს, Პატარძეულს და დაიჭირეს მთის სერები. ჩვენი ატრიადი მივიდა სართაჭალას და მთის მარჯვენა გვერდი დაიჭირა. Განდგომილების მოთავეთ კახელი თავადები იყვნენ; იმათ რიცხვში იყო Ოთარ ჭობულოვი და Ბარძიმ ჩერქეზიშვილი.

Მეორე დღეს დილით Ზაგრიაჟსკიმ განდგომილებს გაუგზავნა ერთი მღვდელი და თავადი Ვაჩნაძე შესაგონებლათ, რომ ხალხი დაშლილიყო და თავთავიანთს სახლში წარსულიყო; Ამასთანავე დაჰპირდა მიტევებას. Თუ არ შეისმენდნენ, დასჯას ემუქრებოდა. Განდგომილებმა უთხრეს, მინამ ცოცხალი ვართ, Იორის წყალს აქეთ ერთს რუსსაც არ გამოუშვებთო. Იმდროს მდინარე იყო პატარა და ფონზე კარგ გასავლელი იყო ქვეითა ჯარისთვის.

Მდინარეზე გადასელა მოვინდომეთ და ამისთვის დაეუწყეთ სროლა მდინარის პირებს. Მერე გავიყვანეთ ჯარი მდინარეზე; ამით დავუმტკიცეთ, რომ ისინი ვერ დაგვაკავებდნენ. Გავედით თუ არა Იორში, განდგომილების ჯარი ორათ გაიყო. Ერთი მარჯვენით წავიდა, მეორე მარცხნით Ყარაბულალისა და ხაშმისაკენ. Ეს სოფელი მაგარი ადგილია. Ვ ნახებით გარემოცულია და მთის სიმაღლეშია ჩადგმული. Აქედგან მთის ბილიკი Ზომბორით Თელავს მიდის.

Ს. ხაშმსა გამწარებულათ იცავდნენ, მაგრამ იერიშით მაინც ავიღეთ. Ატრიადი დაებარგა ვენახებში, აგრეთვე დაიჭირა მაღლობი და მთის სიმაღლე.

Იერიშით მისელის დროს მონასტრიდგან გამოვიდა არხიმანდრიტი ჯვრით და სახარებით, სთხოვდა, მონასტრის და სოფლის შეწყნარებასა. Ზაგრიაჟსკი ძალიან გაჯავრებით შეხვდა არხიმანდრიტსა და დაუწყო ასეთ-ასეთების ლაპარაკი, რომ მე ველარ შევკადრე სულიერს მამას იმ სიტყვების გადათარგმნა. Არხიმანდრიტმა რომ დაინახა Ზაგრიაჟსკის გაჯავრებული სახე, მკითხა, გული რაზე მოსდისო. Ამის მეტი ვერა უთხარი რა: პოლკოვნიკი სხვა რჯულის არი—მეთქი—და არ შეუძლიან, ჯვარი და სახარება თვალით დაინახოს. Ამ დღეს ხუთი განდგომილი შეიპყრეს და გადასწყვიტეს იმათი დასჯა სიკვდილით. Ისინი მეორე დღეს დილით ჩამოახრჩვეს.

Ბათენებისას მოვიდა მთავარ-მართებელი მარკიზ Პაულუჩი, და თან მოჰყვენ ბევრი გამოჩენილი თავადები, რომლების რიცხვში იყვნენ: ქართველთ მეფის სიძე Ფახტანგ Ორბელიანი, Მოურავ-Ორბელიანი, რომელსაც ეძახდნენ Პოტემკინსა, Ქახეთის პირველი მებატონე Ალექსანდრე Ჭავჭავაძე და სხვანი. Მარკიზს ჩემი ძმა Ბასილიც მოჰყვა.

Მთავარ-მართებელი რომ მოვიდა, მაშინვე გამოეცხადა არხიმანდრიტიცა და გამოითხოვა დამნაშავეების მიტევება. Ამ უბედურებს ბაწრის თოლები კიდეც ჰქონდათ ყელზე ჩამოცმული. Ერთი მინუტიც რომ დაყოვნებოდათ, უეჭველათ ჩამოჰკიდებდნენ. Ამ დროს მოიჭრა ჩემი ძმა Ბასილ და გამოუცხადა პატივება. Დამნაშავეებს არა სჯეროდათ და იხვეწებოდნენ, ნუღა გვაწვალებთო. Როცა თვალები აუხილეს, შებოკილი ხელ-ფეგი აუხსნეს და სახრჩობელადგან ჩამოიყვანეს, საწყლებმა სიხარულით აღარ იცოდნენ, რა ექნათ. Სხვა და სხვა მზადებაში ერთი დღე გავიდა. Დაჭრილები და ავათ-მყოფები ჩაფრებით Ტფილისს გაგზავნეს. Რადგან საჭირო აღარ ვიყავი, ამისთვის მიბრძანეს ტრანსპორტს გავყოლოდი და პოლკში დარჩენილვიყავ. Ეს მე სიამოვნებით ავასრულე.

Ატრიადის წინამძღომლობა თვითონ მთავარ-მართებელმა იკისრა. Პირველს ნოემბერს Კ ხეთი მთლათ დამორჩილდა. Განდგომილები ძალიან გამაგრდნენ Ველის-ციხეში. Აქ მოჰკლეს Ფახტანგ Ორბელიანი და დასჭრეს Ალექსანდრე Ჭავჭავაძე.

Ბევრი თავადები დაიჭირეს და Რუსეთს გაგზავნეს, იმათ შორის იყო Ოთარ ჭობულოვი და Ბარძიმ ჩერქეზიშვილი.

Ამ დროს ბატონიშვილი Ბიორგი კოჭლი Ფშავ-ხევსურებში იყო. Იმას უხეიროთ რაცხავდნენ და მთავრობას არც კი ახსოვდა. Ახლა იმაზედაც ეჭვი აიღეს, დაიჭირეს და პეტერბურგს გაგზავნეს. Იმას გააყოლეს Ბასილ-ბებუთოვი.

(Военн. Сборн. 1867 .№ 6).

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ.

Პეტერბურგი, 27 დეკემბერს. Ამ უკანასკნელს დღეებში მიღებული ყველა Ევროპის გაზეთები განიხილავენ მიმავალი წლის Ევროპის პოლიტიკურს ცხოვრებას. იმათ მშვიდობიანობის დაცვის იმედი არა აქვთ მომავალს წელში. Განსაკუთრებით დამოუკიდებელი პარიჟის ჟურნალები აცხადებენ Ევროპის სასაშიშრო მდგომარეობას. Იმათი სიტყვებით 1867 წელმა Ფრანციისთვის ძლიერ უსარგებლოთ განელო. Თვით საქვეყნო გამოფენამ, ამ „შრომის დღესასწაულმან,“ მხოლოდ გარეგანი წარმატება გვაჩვენა, მას ჩვენი ვაჭრობაც არ გაუცოცხლებია; გასაოცრად შემდგარია; აქამდის ხელმწიფეების ერთმანეთის ნახვამაც სარგებლობა არ მოიტანა. Ამ ნახვამ არ დაუშალა Ევროპას თავიდამ ფეხამდი შეიარაღებულ იყო, და დიდ სამხეორო ბანაკათ შეცვლილ იყო, როგორც მარმალმა ნიელმა წარმოსთქვა. Სახელმწიფოების ერთმანეთთან დაუნდობელობა ეს თან-და-თან ძლიერდება. Ფრანციას ამშვიდებდნენ, Გერმანია სამ ნაწილად განიყოფა; დაჯერება სრულებით უსაფუძვლო გამოდგა. Ფრანციის ხელმწიფის ლიბერალური აღთქმანი ჯერ კიდევ არ ასრულებულან. Ფრანციამ მხოლოდ Რომის საქმეში მსწრაფლად და ენერგიულად იმოქმედა, მაგრამ რომელი კეთილგონიერი ფრანცუზი ამით იამაყებს? Სამხედრო რეფორმაზედ ეხლა მთელი Ფრანცია ლაპარაკობს. ამით ცხადათ სჩანა, რა მდგომარეობაშია Ევროპა. Ყველა ფიქრობს ომზე; მაგრამ რასაკვირველია, ყველა ამას არ აცხადებს. Ევროპა არაოდეს არ ყოფილა ამგვარ მდგომარეობაში, რომელიც ყველას სტანჯავს. Საზოგადოების ჰაზრი იმდენათ გამსჭვერეტია, რომ ხედავს მომავალს შიშიანობას, მაგრამ ვერა მოუხერხებიარა, რომ ის განაქარვოს...

Ფრანცია. Ფრანციის სამხედრო დაწყობილებაზე რომ პროეკტი შედგა, იმაზე ბაასის გათავება. 21 დეკემბერს კამისიის მომხსენებელმა უ. Ბრესიემ წარმოსთქვა: „მთავრობამ რომ 740 ათასი ჯარის კაცი სალაშქროთ გამოაწყოს ჩვენ ამისთვის რა გვაწუხებს. Ევროპაში დიდი ომიანობა ვისიმე სურვილით კი არ მოხდება, თავისით ატყდება ხოლმე. Ამისთანა ომიანობა მაშინ გაიმართება, როცა საპოლიტიკო თანასწორობა დაირღვევა და როცა ხელ-ახალი შეთანასწორების დაარსება საჭიროა. Ამის გამო ცივილიზაცია უფრო გაფართოვდება, ხალხები ერთმანერთთან დაკავშირდებიან და საპოლიტიკო თანასწორობა ახალს დასაწყისებზე დამყარდება. Რაკი ერთხელ დაირღვევა ეს თანასწორობა, იმისი ადგენა ომის მეტს არას შეუძლია. (მოძრაობაა). Ხალხებს შორის წაკიდება მხოლოდ ომით გათავდება ხოლმე.—უ. Ოლივე. Თქვენ მაგითი გვიხსნით, რომ პროეკტის შედგენა წინათ-განზრახულს ომის ატეხას მოასწავებსო. (ხელ-ახლა ხმაურობაა).—უ. Ბრესიე. Მაგ პასუხში უფ. Ოლივე სცდება. მე ერთი იმათთაგანი ვარ, რომელსაც ჰსურთ მშვიდობიანობა. Თუმცა მთავრობისგან შემოტანილი პროეკტი ჩვენი ქვეყნის სასარგებლოა, მაგრამ ეს რომ ვიცოდე, პროეკტს აზრათ ომი აქვსო, არაოდეს მაგის დამტკიცებაზე თანახმა არ გავხდები.—უ. Ბარნიე-პაჟესი: Ბირჩევთ მოიფიქროთ, რომ მაგას შეუძლიან ომი ასტეხოს.—უ. Ბრესიე: მე ფილოსოფურათ და ისტორიულათაც განვსაჯე ეგ პროეკტი. Რაც უწინ მომხდარა, შეიძლება შემდეგაც მოხდეს. Სამწუხაროთ, საერთო მშვიდობიანობა და თანხმობა ჯერ აქამდის არ დაარსებულა. Როცა ხალხები ერთმანეთს წაჰკიდებიან, უ ომოთ არ დაზაევებულან.—უ ფ. Ბრანიე-დე-ქასანიაკი: Ცხადია, რომ სხვა საშუალება არა არის რა.—Უფ. Ბრესიე: საქმე ის არის, რომ პროეკტის შედგენას აზრათ ჩვენი ქვეყნის უშიშრობა აქვს, და არა ისა, ვითომც მომავალში ომი ატყდებაო, თუმცა შეიძლება ამ ცოტახანშიაც კი მოხდეს ომი. Ლირს პატივცემულმა მორიმ აი რა მკითხა: განა შეგიძლიან პირობა მოგვცე, რომ მომავალს გაზაფხულზე ომი არ აღიძრებაო. Ამისთანა კითხვაზე ჩემი ვალია, ასე მივუგო: პროეკტი დამტკიცდება თუ არა, ეს სულ ერთია. Თქვენ მაინც იმისთანა მდგომარეობაში ჩავარდებით, როგორშიაც იყავით აღმოსავლეთისა და Იტალიის ომიანობის დროსა, როდესაც მთავრობა ითხოვდა სჯულის-დამდებ კორპუსიდგან, რომ ჯარი გაედიდებინა. Მაგრამ ეს ასე რათ მოხდება ხოლმე? Ამის გამო რომ ხუთმეტისა და ოცის წლის განმავლობაში რამდენიც საჭირო იყო, იმდენი მებრძოლი ძალი ვერ შეადგინეთ მამულის დასაცველად. (ორატორს აწყვეტინებენ). Ორატორის აზრით ორში ერთი უნდა ამოვარჩიოთო: ან უნდა დარჩეს ახლანდელი სამხედრო დაწყობილება 120 ათას კაცითა, ან უნდა დავდვათ ცხრა წლის ვადა სამხედრო სამსახურისთვის და ამასთან მუდამ ასი ათასი ჯარიცა. Ორატორი არჩევს ამ უკანასკნელსა. Უფ. Პიკარი ამბობს, „როცა 1860 წელს ვითხოვდით დოტაციონის კასსის გაუქმებასა და მხოლოდ 80 ათასი კაცი მუდამი ჯარი უნდა ჰყოლოდა მთავრობასა, მაშინ მთავრობამ გვიპასუხა, რომ ჩემთვის 100 ათასი ჯარი მუდამ საჭიროა იმ აზრით, რომ, ვინიცობაა ომის დაწყების შემთხვევა მოგვეცეს, 600 ათასი კაცის მოხერხება გექონდესო. Მაგრამ როცა საქმე იმდენზე მივიდა, რომ მუქარის მიცემა გვინდოდა, ვითომც ომს ვიწყებდით, მთავრობამ 600 ათასი კაციც ვერ შეაგროვა. Სადღეის ბრძოლის წინათ იმათ ასი ათასი კაციც ვერ გამოაწყო სამხედროთ. მთავრობას რომ შესძლებოდა, ასი ათასი კაცის გამოწყობა სამხედროთ, ახლანდელი სჯულის პროეკტი საჭირო არ იქნებოდა. Მაგრამ მთავრობამ იმის შედგენა ვერ მოახერხა. Აი ესეც იმას ამტკიცებს, რომ ომის დაწყების დროს, წინათ-გაფოანგარიშება სულ უქმია. Თქვენ როგორ შეგიძლიან წინათვე იცოდეთ, დიდი იქნება ომი, თუ პატარა? Განა შეგიძლიანთ პირობა მოგვცეთ, რომ კომლზე კაცი არ გამოვიდეს საბრძოლათ, თუ ვინიცობაა ყველა სახელმწიფოები ჩვენ მოგვადგნენ. Ორატორს უკვირს, რომ მთავრობა აქამდის არ აცხადებს რამდენი სამუდამო ჯარი უნდა იყოს მომავალს წელს. Იმისი ვალია, რომ ეს კიდეც იცოდეს, ამისთვის რომ ამ დღეებში უნდა წინადადება მისცეს სჯულის-დამდებს კრებას ამ საგანზე. Ბოლოს ორატორი ამბობს: „მე

ვიცი იმისთანა ომებიც მოხდებიან, რომელნიც ძალიან დიდხანს გასტანენ ხოლმე. მაგალითად მეხიკის ლაშქრობა. მაგრამ თქვენ ამისთანა ომებს აღარ დაიწყებთ; არა? მაშ თქვენ არც საჭიროთ რაცხავთ, რომ სჯულის პროეკტი დამტკიცდეს. იმაში მრავალი ერთი მეორის წინააღმდეგი აზრია. ის ქვეყნის ურგებია და ამისთვის გთხოვეთ უარი ჰყოთ ამ პროეკტსა. (მარცხენა მხარეზე გახარებით ტაშს სცემენ.—ითხოვენ ბაასის გათავებას).

— 27 დეკემბერს სჯულის-დამდებ კორპუსში რუემ წარმოსთქვა სიტყვა იმაზე, რომ მოძრავი ჯარი ფრანციისა 800 ათას კაცამდის უნდა იყოსო.—ბარდა იმისა რომ რუეს სიტყვას დიდი გავლენა ჰქონდა პალატაზე, ეს მაინც უთქმელათ დაეთანახმა მმართებლობას და გამოაცხადა, მზათ ვარ დავამტკიცოვო ცხრა წლის ვადა სამხედრო სამსახურში, მხოლოდ იმ პირობით, რომ ხელის-შემწყობის ჯარის სალდათებს ექვსის წლის შემდეგ ნება მიეცესთ ცოლის შერთვისა. რადგან მთავრობას წინააღმდეგი აზრი არ წარმოუთქვამს ამ პირობაზე, ამისთვის უნდა ვსცნოთ, რომ მთავრობა პალატის თანახმა გამხდარა. ზემოხსენებული წინადადება 188 ხმის უმეტესობით 31 ხმის წინააღმდეგ დამტკიცებულა.

— ფრანციის სენატში, უკანასკნელ კრებაში ამბობს Journal des Débats, მოისმინეს წარდგენა (დოკლადი) გრაფის დე-ბეარნისა შესახებ იმ თხოვნისა, რომელიც წარუდგინეს ჯარის რეორგანიზაციის პროეკტზე. ეს თხოვნა რიცხვით 78-ია, ხელმოწერილი 7,084 კაცის ხელით და მოსულა ფრანციის სხვა და სხვა ადგილებიდგან. იმას გარდა, რომ ეს თხოვნა პირდაპირ ეწინააღმდეგება რეორგანიზაციის სჯულის პროეკტს, ყველა თხოვნაში ის ფიქრია, რომ ჯარის რეორგანიზაციის პროეკტი ომიანობის მზადებას. ნიშნავსო ეს გარემოება ამტკიცებს იმ.ს, რაცა ვთქვეთ ფრანციის ხალხის მშვიდობიანურ ჰაზრიანობაზე. ცხადია, რომ სრულებით არა ვცდებოდით, როდესაც ვამბობდით, რომ პროეკტს ცოტანი თანაუგრძნობენ, ამიტომ რომ საზოგადოებაში აღმოსჩნდა რაიმე მიუნდობლობა მთავრობისადმი.

ბაზეთის „Finance“ გამტყუვნება. სახელმწიფო მაჩვენებელის სიტყვებს მოვიყვანთ: ბელგიის გაზეთმა Finance რამოდენსამე დღის წინათ გამოაცხადა, რომ ხუთ გამოჩენილს პარიჟის გაზეთს პრუსია სუბსიდიას (ქრთამს) აძლევესო. პრუსიას-საკაროლო მთავრობა სხვათა შორის ამასაც იმისთანა ტყუილათ ჩათვლიდა, რომლის ყურადღებაც არა ღირს, თუ რომ ზემოხსენებულის გაზეთის ცილის დაწამება სჯულის-დამდებ კრებაში არ განემეორებინათ და თუ რომ იქ იჭვნეულობა არ განეცხადებინათ. ჩვენ გვაქვს მონდობილი ოფიციალურათ გამოვაცხადოთ, რომ ამისთანა მოგონება ნამდვილი ცილია.

პრუსსია. კათოლიკების ადრესი კაროლთან. ბონნიდგან სწერენ „ქელნის გაზეთში“ 19 დეკემბერს, რომ არა თუ რეინის დიდმა ქალაქებმა პრუსსიისა: ქელნმა, ახენმა, ქობლენცმა, დუსელ დორფმა და ქერეფელდმა, არამედ ზოგიერთმა სხვა მცირე ქალაქებმაც წარუდგინეს კაროლს ადრესი რომის საქმის შესახებ. ამ გვარი ადრესი ხელმოწერილი 2,200 კაცის ხელით გაუგზავნიათ ბონნიდგან 19 დეკემბერს მარტო იმ ჰაზრით, რომ პრუსსიის მმართებლობა ერთ გვარათ მოქმედებდეს ფრანციასთან პაპის მსოფლიო უფლების დაცვისათვის. ამ ადრესში სხვათა შორის აი რა სიტყვებია:“ გასაგებია, რომ ფრანციის მმართებლობა ცდილობს პაპის მსოფლიო უფლების დაცვასა და იმის ნამდვილმა შემწეობამ პაპის ტახტისადმი მოიპოვა ყველა კათოლიკების მადლობა; ფრანციის მმართებლობამ დიდი ნაბიჯი გადასდგა ამითი თავის ჰაზრის ასრულებაში. ადრესის შემდგენელები გულმწუხარეთ უყურებენ ბერმანიასა, რომელსაც თავისის მდებარეობით აქვს დიდი გავლენა პოლიტიკაში, მხოლოთ თავის მფარველობას აკლებს სულიერ მამას ამდენს მოარწმუნეთ ბერმანიის შვილებისა და გულგრილათ უცქერის, ყველაფერს რაც კარგიდა-ავი შეემთხვევა წმინდა ტახტსა. ბერმანია ყველგან სიმართლის მცველათ უნდა იყოს, და ამ სიმართლის გულისათვის, წმინდა სარწმუნოების გულისათვის და ბერმანიის მამულისათვის ადრესის შემადგენელნი ითხოვენ, რომ ინებოს მისმა დიდებულებამ წარადგინოს საჭირო წინადადებაები დაცვისა და სიმტკიცისათვის თავისუფლებისა და დამოკიდებლობისა წმინდა ტახტისა.

იტალია. პეტერბურგიდგან 15 დეკემბერს იწერებიან. დღევანდელს გაზეთებში ვპოვეულობთ ზოგი ერთს განმარტებას, თუ რათ მიიხმო ვიკტორ—ემმანუილმა ისევ მენაბრეა სამინისტროს შესადგენათ. ქაროლი დარწმუნებული იყო, რომ მენაბრეას დიდი გავლენა ჰქონდა პარლამენტზე და იმედი ჰქონდა, რომ ზოგიერთს იმის ამხანაგს რომ საქმე არ წაეხდინა, უმეტესს ნაწილს თავის კენში იმხრობდა მენაბრეა. აი მაგალითად, ამ უკანასკნელს ყრილობებში რომის საქმის შესახებ ოპოზიციის (წინაღმდეგი პარტიის) ორატორებმა მოითხოვეს, საქმით დაგვიმტკიცეთო რატაცის დანაშაულობა ბარიბალდისთან საქმის დაჭერაში. შინა-საქმის მინისტრმა ბვალტერიომ გამოაცხადა, რომ მე მზათ ვარ წარმოვადგინოო დამამტკიცებელი საბუთები და მზათ იყო გამოეცხადებინა ზოგიერთი საიდუმლო დოკუმენტები; პალატამ ნება არ მისცა იმათი წაკითხვისა და ზოგიერთი დეპუტატები ძალიან უკმაყოფილოთაც დარჩნენ, რადგან არ უნდოდათ ბევრი რამ გამოცხადებულიყო უკანასკნელს შემთხვევაზე. შემდეგ ისინი გახდნენ მენაბრეას წინააღმდეგნი, თუმცა ზემოთ-მოხსენებულს საქმეში ის კი არა, იმისი ამხანაგები იყვნენ დამნაშავენი.

ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი,

პეტერბურგში მიღებული.

პარიჟი, 22 დეკემბერს. ერთი ფრანცუზული გაზეთი Patrie ამბობს, რომ ლონდონიდგან მოსულის უკანასკნელის დეპეშის სიტყვით საზოგადო შეთანახმებით გადასწყვიტესო, რომ კონფერენციის შესახებ დაწყებული ყოველგვარი მოლაპარაკება დრომდის უნდა შესწყდესო.

პარიჟი, 26 დეკემბერს (7 იანვარს). ბაზეთი Epoe გვაცნობებს, რომ ლორდმა სტენლიმ გაუგზავნა წარსულს კვირაში ანგლიის ელჩს დეპეშა პეტერბურგს. ამ დეპეშაში სტენლი სწერს, რუსეთის იმპერიის კანცლერთან გორჩაკოვთან მიდი და მოილაპარაკეო, მართალია თუ არა ის ხმა, რომელიც დავარდა, ვითომც რუსეთი დუნაის სამთავროებში და კანდიაზე ვერაგობდეს ოსმალოს წინააღმდეგ. როგორც ზემოხსენებული გაზეთი ამბობს, დეპეშაშია სურვილი გამოცხადებული, რომ რუსეთმა ოფიციალურათ გაამტყუვნოს ეს ხმა.

Journal de Paris ამბობს, რომ ლორდი ქლარენდონი იყო ერთგული შუამავალი იმპერატორ ნაპოლეონსა და იტალიის კაროლს შუა.

დრეზდენი, 22 დეკემბერს (3 იანვარს). „დრეზდენის გაზეთში“ არის დაბეჭდილი ოფიციალური კორრესპონდენცია ვენიდგან, საცა აი როგორ სჯიან ბეისტის გარეშე-პოლიტიკაზე: „ყოველ-გვარი ომი ავსტრიისათვის ჯერ კიდევ დიდხანს ასეთი დიდი უბედურება იქნება, რომ იმას ვერავინ განამართლებს, გარდა თავის დაფარვისა იმ შემთხვევაში, როცა დაუწყებენ მუქარას იმის სანაციონალო არსებობის პირობებსა. თუ დაიწყებენ იმ საქმეს, რომელსაც სლავიანების პროპაგანდა უწოდებს აღმოსავლეთ-ევროპის განმათავისუფლებელს საქმესა, ავსტრია მხოლოდ მაშინ ჩავარდება სასაშიშრო მდგომარეობაში. ბერმანიის და იტალიის შეერთება კი არ ეწინააღმდეგება იმის არსებობასა. თუ ვინიცობაა შემდეგ ევროპაში საქმეები დაიხლართა, ავსტრიამ მაინც უნდა ეცადოს ამისთანა საქმეების მშვიდობიანათ გათავება, როგორც ეს მოახდინა მან ლუქსემბურგის შესახებ“.

ტფილისში მიღებული.

პეტერბურგი, 2 იანვარს. საშუალ ქვეყნის ზღვაში რომ ანგლიის და ფრანციის ფლოტები დგანან, გაზაფხულზე შეიარაღებას აპირებენ.

პეტერბურგი, 4 იანვარს, კოსტანტინეპოლიდგან 21 იანვარს ტელეგრაფით გვწერენ ოსმალოს წინააღმდეგი რუსეთის პოლიტიკის შიში აქვთ. ავსტრია ჯარს აკოტავებს.

პეტერბურგი 5 იანვარს. ალექსანდრე ოლდენბურგის და ევგენია მაქსიმილიანეს ასულის ჯვარის წერა 7 იანვარს არის დანიშნული. ბამოცხადდა უქაზი უმართებელესის სენატისა საბატონო ადგილებზე დასახლებულის თათრის გლეხების დაწყობილებაზე სიგნახის უეზდში. ორი კორვეტით გაძლიერებული ამერიკის ესკადრა ტულოდიდგან ოსმალეთს წავიდა.

უქაზი უმართებლესის სენატისადმი.

1866 წელს 22 ნოემბერს დავამტკიცეთ რა წეს-დება სამსჯავრო დებულებათა (судебые уставы) შესატანათ ქავკასიის-აქეთა მხარეში, ქავკასიის ნამესტნიკმა წარადგინა დაწვრილებით თვისი მოსაზრებანი, თუ რა წესით უნდა შეიტანონ ხმარებაში ზემოხსენებული დებულებანი აღნიშნულს მხარეში.

ბანვიხილეთ რა ესე მოსაზრებანი სახელმწიფო რჩევაში, დავამტკიცეთ ქავკასიის აქეთა მხარის სამსჯავრო დაწესებულებათა დროებითნი შტატნი და ამასთანავე გიბრძანებთ: 1864 წლის 20 ნოემბრის სამსჯავრო დებულებანი და ქავკასიის აქეთა მხარეში ამა დებულების შეტანაზე წეს-დება შეიყვანოთ საქმეში 1868 წლის 1-ლს იანვრიდგან ქვემოხსენებულის საფუძვლით:

1. ტფილისის სამსჯავრო პალატის მაზრა ჯერეთ უნდა შესდგეს ამ გუბერნიებისგან: სტავროპოლისა, ტფილისისა, ბაქოსი, ერევნისა და ბუმბრისაგან.

2. ჩვენმიერ დამტკიცებულის შტატისამებრ სამსჯავრო პალატა და იმის ხელქვეითი მაზრის სამსჯავროები დაარსდებიან, ხოლო საპროკურორო მოხელენი აგრეთვე მომრიგე მსაჯულნი (мировые судые), იმათი თანაშემწენი და სხვა მოხელენი დამტკიცდებიან.

3. რაკი ახალი სამსჯავრო დაწესებულებანი გაიხსნებიან ქავკასიის აქეთა მხარის გუბერნიებში, უეზდის და გუბერნიის სამსჯავროები, აგრეთვე სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის პალატანი გაუქმდებიან, გაუქმდებიან აგრეთვე ტფილისის საკომერციო სასამართლო და ფოთის საქალაქო რატუშა.

4. ყველა სამსჯავრო საქმეები, რომელნიც მხოლოდ კერძოობითის პირის ჩივილით დაწყებულან და გათავებულან შერიგებითა, თუ რომ ისინი, როგორც რიგია, ისე არ დაწყებულან, ან თუ იმათი სისხლის სამართლით წარმოება ჯერ არ დაუწყიათ—ყველა ამ გვარი საქმეები მოისპობა, მაგრამ მომჩივრებს კი ნება ექმნებათ განაახლონ ეს საქმეები ახალს სამსჯავრო დაწესებულებათა შინა. ყველა სხვა სამსჯავრო საქმეები, რომელთაზედა ჯერ პირველი ხარისხის სამსჯავროს გადაწყვეტილება გამომხდარა, დაურიგდება მაზრის სამსჯავროებს, თანახმად წეს-დებულებისა ქვემდებაროობის შესახებ (подсудноемь), რომელიცა განმარტებულია 1846 წლის 20 ნოემბრის დებულებათა შიია და წესდებაებში, რომელნიც გამოიცა 1866 წელს 22 ნოემბერს.

(შემდეგი იქნება).

საბიბლიოგრაფიო ცნობა.

ქართული ანბანი

და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის,

არითმეტიკა. შედგენილი ვ. თულა-შვილისაგან და მ. ციფიანისაგან. ფასი სამი შაური.

ამბები ძველის დროების ხალხებისა. ნაწილი პირველი. **უწინდელი ინდოელები და ეგვიპტელები.** რუსულიდამ ნათარგმნი. ფასი სამი შაური.

ჩოანგური. ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და სხვა მწერლების ლექსების კრება, შედგენილი ქ. ლორთქიფანიძისაგან. ფასი ერთი მანეთი.

ვეფხვის-ტყაოსანი

ფასი ათი შაური.

თ. ბიოკრბი ერისთვის თხუზულებანი, ავტორის პორტრეტით. ნაწილი პირველი. ფასი ერთი მანეთი.

ნაწილი მეორე ფასი ერთი მანეთი.

საქართველოს ქალენდარი, შედგენილი ნ. ავალიშვილისაგან. ფასი ათი შაური.

საქართველოს ისტორია თხზულება ბატონისშვილის თეიმურაზისა. ფასი ერთი მანეთი.

კალმასობა. თხზულება ბატონისშვილის იოანესი. ფასი ორი მანეთი.

ი ბ ე ჭ დ ე ბ ა.

ანბანის შემდეგ მეორე საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის, იაკობ ბოგებაშვილისა.

ტფილისში: მელიქიშვილის და კომპანიის სტამბაში; ბერეშტამის, ალადათოვის და ენფიაჯიანცის საწიგნო მაგაზინებში.

ქუთაისში: უფ. ბერ. ქალანდარიშვილთან და ხელთუფლიშვილის მაღაზიაში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12-го января 1868 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაქტორი ბ. წერეთელი. ბამომცემელი ს. მელიქიშვილი.